ახალი ხარაგაული

№442 (17) 20 დეკემბერი, 2021 წ.

ხარაგაულის საკრებულომ მთავარი საფინანსო დოკუმენტი დაამტკიცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მთავარი საფინანსო დოკუმენტი დაამტკიცა. სხდომას მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი დაესწრნენ.

2022 წლის ბიუჯეტი 10 715 8 ათასი ლარით განისაზღვრა და ძირითადად ორიენტირებულია სოციალურ, ინფრასტრუქტურულ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვრცლად ისაუბრა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებსა და იმ მნიშვნელოვანი პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელება მომავალ წელს იგეგმება მუნიციპალიტეტში. ბ-ნმა ვლადიმერმა მიმდინარე წელზეც გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი საკმაოდ კარგია.

„2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცების პერიოდში 9091,0 ათასი ლარით განისაზღვრა და დღეის მდგომარეობით, შესრულება 21 905.5 ათასი ლარია. შემოსავლები დაგეგმილი გვქონდა 8 018.9 ათასი ლარით და ამ პერიოდისათვის მიღებული გვაქვს 9 911.4 ათასი ლარი. ამ ყველაფერში დიდი წვლილია აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობისა და განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის მერის, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილის. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ქონების გადასახადიდან მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მივიღეთ. ასევე გამოვყოფდი მერის პირველი მოადგილის, ვარლამ ჭიპაშვილის, აქტიურ მუშაობას. ჩემი მრავალწლიანი საქმიანობის პერიოდში, მერის პირველი მოადგილის მხრიდან ასეთი დაუღალავი შრომა და ბიუჯეტის შედგენის პროცესში მონაწილეობა არასდროს ყოფილა.“-აღნიშნა ვლადიმერ გელაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ხაზგასმით განმარტა, რომ 2022 წლის ბიუჯეტში საგრძნობლად გაიზარდა იმ პროგრამების დაფინანსება, რომლებიც მოსახლეობისთვის საჭირო და აუცილებელია. მისივე

თქმით, საკრებულოს მხრიდან გაცემული რეკომენდაციები მაქსიმალურად გაითვალისწინა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ.

„2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გადასახდელები 1 625.7 ათასი ლარით იზრდება. 1 500.0 ათას ლარს გადააჭარბა სოციალური პროგრამების დაფინანსებამ, საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯება ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება: სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია. წელს პირველად დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში, 150 000 ლარით დაფინანსდება შვიდი პროექტი. 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია თანამშრომელთა ხელფასების ზრდაც.“-განმარტა ვლადიმერ გელაშვილმა.

მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, აღნიშნა, რომ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ხარაგაულში ბევრი კარგი პროექტის განხორციელება იგეგმება. მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრესი ნამდვილად შეინიშნება და მაქსიმალურად მოხდა იმ საკითხების გათვალისწინება, რომლებიც დღეს მუნიციპალიტეტში აქტუალურია. ბ-ნ ვარლამმა სოციალურ მიმართულებაზეც გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ ბოლო ერთ წელში აღნიშნული პროგრამის დაფინანსება საკმაოდ გაიზარდა და დიდი ყურადღება მიექცა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას.

სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა განაცხადა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები საკმაოდ გაზრდილია და თანხები ძირითადად მიმართულია სოციალურ და ინფრასტრუქტურულ სფეროებზე. მისივე ინფორმაციით, დაგეგმილია ასევე სახელფასო ზრდა, რომლისთვისაც თანხები მიმდინარე წელს ბიუჯეტში დაუგეგმავად შემოსულ უცხო საწარმოთა გადასახადიდან მიიმართება. „2021 წლის ბიუჯეტში რა ხარჯებიც გვქონდა გათვალისწინებული, იმაზე ბევრად მეტი დავხარჯეთ, სხვადასხვა პროგრამების დაფინანსებაზე. ასევე ყველა ის ვალდებულება, რაც გვქონდა აღებული სრულად არის შესრულებული და უზრუნველყოფილი. ასე იქნება მომავალ წელსაც და ნებისმიერი საკითხი გადაწყვეტილი იქნება მოქალაქეების მოთხოვნების შესაბამისად. ბიუჯეტი სწორედ ამ ხალხისაა და მათ უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლებიდან დაფინანსებული პროექტები. მისასალმებელია, რომ, დღეის მდგომარეობით, ხარაგაული ბიუჯეტის შესრულებით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებითა და თანხის ათვისების მაჩვენებლებით, საქართველოს მასშტაბით, ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია. მჯერა, რომ 2022 წელი გაცილებით უკეთესი იქნება და ეს ბიუჯეტი ნამდვილად გაამართლებს ჩვენი ამომრჩევლის იმედებს“. - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

უმრავლესობამ 2022 წლის ბიუჯეტს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და ერთხმად აღნიშნეს, რომ საკრებულო და მერია საკმაოდ მჭიდროდ და კონსტრუქციულად თანამშრომლობენ, რაც ხარაგაულის უკეთესი მომავლისათვის აუცილებელია.

ხარაგაულის მერი პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრას დაესწრო

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) პროექტის ფარგლებში, ბათუმში, სასტუმრო „რედისონში“ შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ესწრებოდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოებზე, რომლებიც ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობასთან იქნება დაკავშირებული. დეტალურად განიხილეს ასევე მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული პროექტები - სტრატეგიული დაგეგმვიდან კონკრეტული ინიციატივების განხორციელებამდე.

აქვე გეტყვით, რომ საგრანტო პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხებიდან კონკურსის შედეგად შერჩეულ თითო მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა,

თავისი იდეის განსახორციელებლად 60,000 ევრო მიიღოს.

პროგრამა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ (UNDP) წელს გამოცხადებული ახალი რეგიონული პროექტის M4EG ფარგლებში ხორციელდება. პირველი ეტაპი 2017 წლიდან 2021 წლამდე მიმდინარეობდა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია.

ინიციატივის - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მთავარ მისიას მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს. მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ხარაგაულის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საჩუქრად წიგნ-რვეული „პირველკლასელთა აკადემია“ გადაეცემათ

შემეცნებით-ინტელექტუალურ კონკურს „ეტალონის“ წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს, შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი და ხარაგაულის საბავშვო ბაღების ხელმძღვანელები.

გოჩა ტყეშელაშვილმა მისივე ავტორობით შედგენილი წიგნ-რვეულის „პირველკლასელთა აკადემიის“, პრეზენტაცია გამართა, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. როგორც ბ-ნ გოჩამ განმარტა, წიგნის მიზანია, სკოლამდელი განათლება უფრო ეფექტური გახდეს და პირველკლასელი სათანადოდ მომზადებული შევიდეს სკოლაში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა მზაობა გამოთქვა, რომ უზრუნველყოს წიგნის შეძენა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის.

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის განათლება პრიორიტეტული მიმართულებაა. განსაკუთრებით საყურადღებო არიან პატარები, რომლებიც სკოლისთვის ემზადებიან. ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი ჩვენს მომავალ პირველკლასელებს სწავლის პროცესში აუცილებლად დაეხმარება.“ - განაცხადა კობა ლურსმანაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დავით კიკნაძე აირჩა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა. საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ საღანძილის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე აირჩა. დავითი პროფესიით იურისტია. სხვადასხვა დროს გახლდათ პედაგოგი, საღანძილის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, შემდეგ დირექტორი, საღანძილის თემის საკრებულოს გამგებლის მოადგილე, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტი.

2013- 2017 წ.წ. იკავებდა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობას.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო

ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის თანამშრომლობით, ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ესწრებოდა.

ღონისძიებაზე ისაუბრეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და მრავალდონიანი მმართველობა მდგრადი და ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისთვის, განსაკუთრებით კი, კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის შემდგომ პერიოდში.

საუბარი ასევე შეეხო ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა განმტკიცებას და ამ მიმართულებით დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს.

დედაქალაქის მერმა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა კახა კალაძემ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტები იღებენ ვალდებულებას, გაუმჯობესდეს ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხი საქართველოში, ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერებითა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადამიანის უფლებების ინტეგრირების საშუალებით; ხელი შეეწყოს უფრო ღია, ინკლუზიურ, მოქალაქეებზე ორიენტირებულ და გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივ მმართველობას.

დედაქალაქის მერის განცხადებით, თბილისი და სხვა მუნიციპალიტეტები ერთვებიან ევროპის საბჭოს პროექტში, რომელიც იქნება კიდევ ერთი შესაძლებლობა ადგილობრივ დონეზე სოციალური ინკლუზიის, გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების გაძლიერებისთვის.

შეხვედრაზე ასევე გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: უთანასწორობის შემცირება და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა სხვადასხვა დონეზე კოვიდ-19-ისა და მის შემდგომ პერიოდში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების, სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმა შეიქმნა

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტომ (LDA Georgia) ხარაგაულის მერიასთან ერთად, ახალი პლატფორმა-მოქალაქეთა უკუკავშირი შექმნა. პლატფორმის ბმული -„Citizens feedback“, ვებ-გვერდზე -kharagaulinews.gov.ge -განთავსდა. აქვე გეტყვით, რომ აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია ქალაქ ქუთაისში გაიმართა, რომელზეც მიწვეული იყვნენ, ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ, იმერეთის მასშტაბით, ხარაგაულის მერია ერთ-ერთი საპილოტე მუნიციპალიტეტია, სადაც ახალი ელექტრონული პლატფორმა წარმატებით დაინერგა.

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს“ დირექტორის, ნინო ხუხუას, განცხადებით, ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი ნამდვილად გამოირჩევა მხარდაჭერით იმ პროექტების მიმართ, რომლებიც მოქალაქეთა ჩართულობასა და ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას ისახავს მიზნად. მისივე ინფორმაციით, ახალი პლატფორმა მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს, გამოხატოს მოსაზრება, კომენტარი, ან შენიშვნა იმ განხორციელებულ პროგრამაზე, რომელიც მუნიციპალიტეტმა მათ შესთავაზა.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი მიესალმება მუნიციპალიტეტში მსგავსი ინიციატივების დანერგვას და ამბობს, რომ კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას ეფექტურად გამოიყენებს მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის გასაზომად.

„საინტერესოა, რომ ბმულის გახსნის შემდეგ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება იმ პროგრამების შეფასება, რომლებითაც ისარგებლეს საბიუჯეტო წლის განმავლობაში. ამ დრომდე არ გვქონდა ზუსტი ინფორმაცია, როგორია ჩვენი მომსახურების ხარისხი და რა საჭიროებები დგას ბენეფიციარების წინაშე. ვფიქრობ, ახალი ელექტრონული პლატფორმა შეიძლება გახდეს საუკეთესო პრაქტიკა, რომელსაც ხარაგაულის მერია წარმატებით გაართმევს თავს.“-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ინფორმაციისათვის, ახალი პლატფორმა სატესტო რეჟიმში უკვე ჩაეშვა. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიზანი მოქალაქეების მხრიდან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისებისა და პროგრამების შეფასებაა.

ეკა შავიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დავით კიკნაძე აირჩა

დასაწყისი ▶ 1 გვ.

2017-2021 წ.წ. იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

სამგზის მოწვევის მაჟორიტარ დეპუტატს საღანძილის თემიდან და ახლა უკვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, დავით კიკნაძეს, მუშაობის განვლილ პერიოდსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.

- პირველ რიგში, მადლობა მინდა, გადავუხადო „ქართული ოცნების“ გუნდს ნდობისა და მხარდაჭერისთვის. რა თქმა უნდა, ეს არის ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა და შევეცდები, წარმატებით გავართვა თავი ჩემზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს. აქტიურად ჩავერთვები თითოეული მცხოვრების თუ დასახლების პრობლემური საკითხების მოგვარებაში და ხელს შევუწყობ თვითმმართველობის საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობასა და მათი ინიციატივების მხარდაჭერას. მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა შესაძლებლობა, ვემსახურო ჩემს ხალხს, ჩემს ხარაგაულელებს.

-საღანძილის თემში, თქვენი დეპუტატობის პერიოდში, რა მნიშვნელოვანი პრობლემები გადაიჭრა და რაზე გაკეთდება სამომავლოდ აქცენტები?

-თამამად შეიძლება ითქვას, რომ საღანძილის თემში, ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და სოფლის რეალობა სრულიად შეიცვალა. მიხარია, რომ საღანძილეში აიგო ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საბავშვო ბაღის შენობა და რიგი სოფლები გაზიფიცირდა. ასევე მისასალმებელია, რომ მოასფალტდა ხარაგაული-საღანძილის დამაკავშირებელი გზა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმეტეს სოფლებში კეთილმოწყობილია ცენტრალური და საუბნო გზები. საერთო ჯამში, საღანძილის თემში 9 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, დაახლოებით, 7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. რა თქმა უნდა, პრობლემა ჯერ კიდევ ბევრია, რომელთა მოგვარების გზებზე აქტიურად ვმუშაობთ. მინდა გითხრათ, რომ სამომავლოდ საღანძილის თემში დაგეგმილია არაერთი პროექტის განხორციელება, რომლებიც ადგილობრივების ინტერესების გათვალისწინებით შეირჩევა. განსაკუთრებით გამოვყოფდი საღანძილის სკოლის რეაბილიტაციას, რომელზეც მუშაობა შესაბამის სამსახურებთან დაწყებულია და ეს საკითხი ახლო მომავალში დადებითად გადაიჭრება. რამდენიმე წელია, საღანძილის თემს ადმინისტრაციული შენობა აღარ აქვს და დაგეგმილია ახლის აგება. დიდი სურვილი მაქვს ასევე, სოფელში მინი სპორტული მოედანი გაკეთდეს და დარჩენილი სოფლები გაზიფიცირდეს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ასევე აუცილებელია ტურისტულ ლოკაციებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, ვგულისხმობ ჩხერის ციხის განათებას, რომელსაც 2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. საჭირო თანხებისათვის კი დონორი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ფონდის დახმარება გვჭირდება. აქ საუბარია არა მხოლოდ ჩხერის ციხეზე, არამედ ხარაგაულში სხვა ტურისტულ ადგილებზეც.

-რამდენად ხშირად გაქვთ ურთიერთობა თქვენს ამომრჩევლებთან და რა არის ის ძირითადი პრობლემები, რომლებზეც მოქალაქეები მოგმართავენ?

-სისტემატურად ვხვდები ჩემს ამომრჩეველს და ადგილზე ვეცნობი იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მათთვის პრიორიტეტულია. ამ ადამიანების ძალიან მადლიერი ვარ, რადგან უკვე მესამედ გამომიცხადეს ნდობა, რაც პასუხისმგებლობას მიორმაგებს. საღანძილეში დაბადებული და გაზრდილი ვარ და კარგად ვიცი, როგორ ცხოვრობს, რა საჭიროებები აქვს თითოეულ ადამიანს. ძირითადი პრობლემა დასაქმებაა, უმთავრეს გამოწვევად რჩება ასევე ხე-ტყეზე ხელმიუწვდომლობა. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო ისიც, რომ სოციალური დახმარების დანიშვნის წესი შესაცვლელია. სამწუხაროდ, ამ საკითხის მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ ერევა და იმედს ვიტოვებ, სამომავლოდ დახმარების დანიშვნის მექანიზმი შეიცვლება. ასევე ხაზი მინდა გავუსვა, რომ საღანძილის თემში მცხოვრები ოჯახები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამებით სისტემატურად სარგებლობენ. მოქალაქეებს ვუწევთ ერთჯერად ფულად დახმარებას, ვუფინანსებთ მედიკამენტების შეძენას, საოპერაციო თუ სამკურნალო ხარჯებს და სხვა.

ჩემი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში, ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ უკმაყოფილო არავინ დამრჩეს. ვფიქრობ, შემდეგი ოთხი წელი კიდევ უფრო მეტად პროდუქტიული და საქმიანი იქნება.

-საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ერთხმად აგირჩიეს, როგორი იყო თქვენი განწყობა?

-ეს ჩემი კარიერული წინსვლისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი და, ამასთანავე, ახალი პასუხისმგებლობაა. ეს სტატუსი საშუალებას მაძლევს, უფრო მეტი შესაძლებლობა მქონდეს, დავეხმარო ხარაგაულელებს და მეტად ახლოს ვიყო მათ გვერდით. ნამდვილად მსურს, თანამონაწილე ვიყო იმ კარგი საქმეებისა, რომლებიც დღეს ქვეყანაში და, მათ შორის, ხარაგაულში ხორციელდება. მაქსიმუმს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ წლების განმავლობაში ბევრი კარგი საქმე დაუკავშირდეს ჩემს სახელს. საბედნიეროდ, მერია და საკრებულო ერთი გუნდი არის და ყველა გადაწყვეტილება იქნება გუნდურად მიღებული და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული.

-საკურატორო სფერო და ძირითადი პრიორიტეტები...

-სულ ახლახან შევუდექი ახალ თანამდებობაზე მუშაობას. ძირითადად ჩემი საკურატორო სფერო საკრებულოს კომისიებისა და მერიის შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციაა. პარალელურად აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს კომისიების მუშაობაში, ვარ განათლებისა და იურიდიული კომისიების წევრი.

-თქვენი სამომავლო გეგმები...

-ჩემი პრიორიტეტი არასოდეს ყოფილა მერკანტილური და პირადი ინტერესების წინ დაყენება. ყოველთვის გამოვდივარ მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით და ასე გაგრძელდება მომავალშიც.

წლების წინ, როცა ბატონი კობა ლურსმანაშვილი პირველად გახლდათ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ხარაგაული იყო ერთ-ერთი მოწინავე და საუკეთესო მუნიციპალიტეტებს შორის. ამ სტატუსს თანდათან ვიბრუნებთ და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ადამიანებს აქ მოსვლა მოუხაროდეთ. ბ-ნ კობა ლურსმანაშვილი ნამდვილად გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით, ეს აისახება კიდეც იმ შედეგებზე, რაც დღეს მუნიციპალიტეტს აქვს.

გეტყვით, რომ ჩვენს გუნდს აქვს რეალური მიზნები და მათი განსახორციელებელი რესურსები, რომლის შედეგიც გამოჩნდება შემდეგ წლებში.

მარიამ შარიქაძე

მუზად ქცეული ხარაგაული

პირველ ყოვლისა, დიდი ბედნიერებაა ჩემთვის, რომ ვიყო ავტორი აღნიშნული წერილისა, რომელშიც მოკრძალებით გამოვხატავ იმ დიდ სიხარულს, რაც განვიცადე 30 ნოემბერს თბილისში, „აბრეშუმის გალერეაში“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ინიციატივით მოწყობილი გამოფენით „მუზად ქცეული ხარაგაული“.

ხარაგაული - ჩემი ლაღი ბავშვობისა და მოსწავლეობის აკვანი, ჩემი „ადგილის დედა“. ამ სახელს მუდამ ლოცვასავით ვიმეორებ, მასთან ყოველი შეხვედრა კი ჩემთვის სრული ნეტარებაა. გულს მიხარებს ის სიახლეები, ის საუკეთესო პროექტები, რომლებითაც ხარაგაული დღითი დღე ლამაზდება და მშვენდება...

მადლობა ამ სიკეთის შემოქმედ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ყველა ხარაგაულელს, რომელთა წვლილი განუზომელია ხვალინდელ დღეთა სიკეთეში.

დამეთანხმებით, როგორ გავიხარებდი, როცა შევიტყვე, რომ ჩვენს დედაქალაქში, „აბრეშუმის გალერეაში“ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი (დამაარსებელი და ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე) აწყობდა სამხატვრო პლენერ „გამას“ მონაწილე მხატვართა ნამუშევრების გამოფენას.

მკითხველს შევახსენებ, რომ უკვე 6 წელია, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, სახალხო ლიტერატურული თეატრი და სრულიად ხარაგაული მასპინძლობს მხატვრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ფუნჯის ოსტატები 24 საათის განმავლობაში სუფთა ჰაერზე ხატავენ ხარაგაულისა და მისი სოფლების ულამაზეს ხედებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს. ეს პროცესი საქველმოქმედოა, რადგან ფერთა ჰარმონიის შემოქმედთ მუშაობისათვის ყველა საჭირო მასალა თვითონ მოაქვთ და ქმნილებებს საჩუქრად უტოვებენ ლიტერატურული თეატრის მუზეუმს, სადაც მოწყობილია მუდმივი გამოფენა და ეს განძი უკვე 140 მხატვრულ ტილოს ითვლის.

თეატრის ხელმძღვანელი, დიდი პატრიოტი ქალბატონი იზა ვეფხვაძე, დაჰპირდა მხატვრებს, რომ მათი ხარაგაულში შესრულებული ნამუშევრების გამოფენას, სრულიად საქართველოს დამთვალიერებელთათვის, აუცილებლად მოაწყობდა დედაქალაქში და აი, მისი ძალისხმევით, პლენერ „გამას“ მხატვართა ნამუშევრების გამოფენას სამი დღე დაუთმო „აბრეშუმის გალერეამ.“

***

2021 წელი, 30 ნოემბრის საღამო...

სასიამოვნო განწყობით, ღიმილიანი სახეებით მოეშურებიან გალერეისაკენ ქართულ ხელოვნებასა და ხარაგაულზე შეყვარებული ადამიანები. გალერეის ორ ულამაზეს დარბაზშია გამოფენილი 50-ზე მეტი მხატვრის ასამდე ნამუშევარი. სამწუხაროდ, საგამოფენო სივრცემ 140 ნამუშევარი ვერ დაიტია და გამოფენის მომწყობთ მიეცათ შერჩევის საშუალება. რაც მთავარია, საგამოფენო სივრცეში „გამას“ მონაწილე ყველა მხატვარი იყო წარმოდგენილი ერთი ან ორი ნამუშევრით.

გამოფენის გახსნამდე სხვადასხვა სატელევიზიო არხის, რადიოს, მედიის წარმომადგენელთათვის ინტერვიუს მიცემას ვერ

აუდიოდა გამოფენის უპირველესი მასპინძელი, შესატყვის ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქალბატონი იზა ვეფხვაძე.

მითითებულ დროს, რიცხვმრავალ დამთვალიერებელთა გარემოცვაში, მიკროფონთან დგება ცნობილი ჟურნალისტი და მეცნიერი, ლიტერატურული თეატრის დიდი მეგობარი ბატონი ივანე ჯაფარიძე, რომელიც მოკლედ და შთამბეჭდავად საუბრობს პლენერ „გამასა“ და ქალბატონ იზა ვეფხვაძის ხარაგაულისადმი დიდი სიყვარულის გამომხატველ საქმეებზე, გამოფენას გახსნილად აცხადებს და მიკროფონთან იწვევს გამოფენის ორგანიზატორს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, რომელმაც ვრცლად ისაუბრა იმ ფასდაუდებელი განძის შესახებ, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხატვართა ნიჭიერებით ერგო ხარაგაულს. შესრულდა „გამას“ ჰიმნი და ძალზე სასიამოვნოა, რომ დამთვალიერებელთა შორის იყო მისი ავტორი, კომპოზიტორი მაიკო მაჩაბელი.

თითქოს მართლაც იმერეთის სუნთქვა შემოიტანა და იმერულმა სიომ დაჰბერა დარბაზში, როცა ნიჭიერმა ანსამბლმა „ხარაგაულის ხმებმა“ მშვენიერი სიმღერები შეასრულა, რითაც კიდევ უფრო მეტად გამოიხატა დამთვალიერებელთა სასიამოვნო განწყობა და სიყვარული ზემო იმერეთის ამ ულამაზესი კუთხის მიმართ. პატრიოტული მუხტი გააძლიერა პოეტების-ტარიელ ხარხელაურისა და ციცინო ბაბუციძის -სტუმრობამ, რომელთაც არაჩვეულებრივი მგზნებარებით წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ციცინო ბაბუციძე წინამძღოლობდა ლიახვის ხეობის ლტოლვილი მოსახლეობის წარმომადგენლებს, რომელთათვისაც ესოდენ ახლობელი გახადა ქალბატონმა იზამ ხარაგაული და ხარაგაულელები. გამოფენა დიდი ინტერესით დაათვალიერეს პლენერ „გამას“ მასპინძელი ოჯახების თავკაცებმა. მათ ხომ მუშაობის იდეალური გარემო შეუქმნეს ექვსივე პლენერზე ფუნჯის ოსტატებს.

„პიონერფილმის“ ხელმძღვანელმა, საპატიო თბილისელმა გრიგოლ ჩიგოგიძემ თავის აღსაზრდელებთან ერთად ეს დღე მიულოცა ხარაგაულს და იზა ვეფხვაძე „პიონერფილმის“ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ძნელია, სიტყვებით გამოიხატოს ის სიამოვნება, რაც ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებთან შეხვედრით განიცადეს დამთვალიერებლებმა.

კობა ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი: - „ეს დღე უმნიშვნელოვანესია ხარაგაულისათვის, მისი კულტურული ყოფისათვის. მინდა, პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ, ვინც ამ შესანიშნავ ღონისძიებაში ჩაერთო.

რაც შეეხება ლიტერატურულ თეატრსა და მის დამფუძნებელ ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, ვფიქრობ, ის კიდევ ბევრს შეძლებს, კულტურული თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის. ხელისუფლების მიზანია, მეტი ყურადღება მიექცეს რეგიონებში კულტურის სფეროს. აქედან გამომდინარე, ხარაგაულში კულტურა და ახალგაზრდობა, სხვა მიმართულებებთან ერთად, პრიორიტეტად გამოცხადდა.“

პაატა კვიჟინაძე - საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი.

- „დიდად ნასიამოვნები ვარ დღეს გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა დათვალიერებითა და ნიჭიერ მხატვრებთან პირადად შეხვედრით. გარკვეული შვება ვიგრძენით, პანდემიასთან ხანგრძლივი ბრძოლის დღეებში რომ რეგულაციების დაცვით, კვლავ მოგვეცა ასეთ ღონისძიებებში ჩართვის საშუალება.

მადლობა ყველას და განსაკუთრებით ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, რომლის ორიგინალურობა ყოველთვის მაოცებს. ათი წლის წინანდელი განცდა დამეუფლა, როცა პირველად ვნახე მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ სპექტაკლში.

დიდი მადლობა მხატვრებს, ორგანიზატორებს, რომელთაც ასეთი ლამაზი დღე გვაჩუქეს.“

გურამ ცერცვაძე - საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

-„ქალბატონი იზა უაღრესად დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. „აბრეშუმის გალერეაში“ მოწყობილი გამოფენითაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვალსაჩინო სიტყვა თქვა ხარაგაულის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა.

პირადად დიდი სიამოვნება განმაცდევინა საქართველოს ამ ნიჭიერ მხატვართა ნამუშევრებთან შეხვედრამ ისეთ დიდ სივრცეში, როგორიც „აბრეშუმის გალერეაა.“

მინდა, კვლავ დიდი წინსვლა-წარმატება ვუსურვო ნიჭიერ ქალბატონს ქართული სულის გასაძლიერებლად. დაე, მისი მსგავსი კვლავ ბევრი მოუვლინოს განგების ძალამ ხარაგაულსა და სრულიად საქართველოს.“

ბაადურ კუპრეიშვილი - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრის თანამშრომელი.

-„აღფრთოვანებული ვარ გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებით. ხარაგაული ჩემთვის უსაყვარლესი კუთხეა, რომელსაც 1976 წლიდან ვიცნობ. გამორჩეულია იგი თავისი ხალხის საუკეთესო თვისებებით: სამშობლოს სიყვარულით, სტუმართმოყვარეობითა და განათლებისაკენ სწრაფვით.

როცა ამ ნაღვანს ვეცნობოდი, გონებაში ასეთი ფრაზა ამომიტივტივდა: „რაც უფრო დიდხანს უყურებ უფსკრულს, მით უფრო მეტად შემოდის ის შენში.“ როცა იზა ვეფხვაძისა და ლიტერატურული თეატრის საქმეებს ეცნობი, დიდი სითბო შემოდის შენში, აი ასეთ სითბოს გასცემს ეს ნიჭიერი ქალბატონი, მის მიერ ჩაფიქრებული ყველა პროექტი, ყველა სპექტაკლი.“

მარინა ხარაძე-ხარაგაულის მკვიდრი.

-„ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის კოლექტივი და პროქტი „გამა“ უდიდეს საქმეს თაოსნობს. „აბრეშუმის გალერეაში“ წარმოდგენილი ნამუშევრები ნამდვილად დაამშვენებს დიდ საგამოფენო სივრცეებს. ეს ხომ ნამდვილი ფუფუნებაა ხარაგაულისათვის.

დიდი სიყვარულით გამოვეშურე გამოფენისაკენ, ჩემს რძალ, ხელოვნებათმცოდნე თინათინ კამკამიძესა და მშვენიერების ტრფიალ მეგობრებთან ერთად.

იზა ვეფხვაძის ღვაწლი განუზომელია. ამჯერად მინდა, აქცენტი ჩვენს მომავალ თაობაზე გავაკეთო. ასეთი გამოფენები ხელს შეუწყობს მოზარდთა გემოვნების განვითარებას, რომ საკუთარი თვალთახედვით შეაფასონ ხელოვნების ესა თუ ის ქმნილება.

არაერთხელ ვწვევივარ ხარაგაულში სახალხო ლიტერატურული თეატრის ოფის-მუზეუმს, სადაც პლენერებში მონაწილე მხატვართა მიერ შექმნილი ეს ფასდაუდებელი სიმდიდრეა დავანებული და ნატვრა ყოველთვის ერთი მაქვს, რომ დაე, ჩემს მშობლიურ ხარაგაულს მიეცეს საშუალება, რათა ამ სიმდიდრემ ხარაგაულშივე უფრო დიდ სივრცეში გადაინაცვლოს“.

* * *

გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილების გამომხატველი საკმაოდ ბევრი იყო, სამწუხაროდ, საგაზეთო წერილი ამის საშუალებას არ გვაძლევს და პატიებას ვთხოვ ყველას.

დამთვალიერებელთა შორის იყვნენ ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრები, რომელთაც იზა ვეფხვაძის ღვთიური ნიჭიერება გაიცნეს წლების წინ თსუ-ში წარმოდგენილი მისი საავტორო სპექტაკლით „საქართველოს შიშველი სატევარი“.

გამოფენის დათვალიერებით ახლაც სიამოვნების უჩვეულო ბურუსში გაეხვივნენ ისინი.

* * *

მინდა, დამდეგი 2022 წელი მივულოცო, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და წარმატება ვუსურვო ხარაგაულისა და ხარაგაულელთა ბედნიერებისათვის შემართულ ადამიანებს: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ცოდნისაკენ ახალგაზრდობის გზის მანათობელ შუქურას - ჩემს აღმზრდელ მესამე საჯარო სკოლას, მის თბილ, ერუდირებულ კოლექტივს, ყველა ხარაგაულელს.

დაე არასდროს მოჰკლებოდეთ მათ ისეთი სანეტარო განცდებით ტკბობა, როგორითაც ბრუნდებოდნენ შინ „აბრეშუმის გალერეაში“ პლენერ „გამას“ სამდღიან გამოფენასთან შეხვედრის შემდეგ.

უფალი იყოს ხარაგაულელთა ყველა კეთილი საქმის მფარველი!

ამანდა ხვედელიძე,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

დეპუტატებმა 2022 წელს განსახორციელებელი პროექტები მოიწონეს

16 დეკემბერს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელ პროექტთა ნუსხა მოიწონეს. საკითხი მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პეტრე შარიქაძემ წარადგინა. მისივე თქმით, მომავალ წელს დასაფინანსებელი პროექტები საკმაოდ მასშტაბურია და მთელ მუნიციპალიტეტს მოიცავს.

გთავაზობთ საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს:

ლეღვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთის უბანი)-178,700 ათასი ლარი;

ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - 300,000 ათასი ლარი;

მაქათუბნის ორი საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) - 422,848 ათასი ლარი;

ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბრუისის უბანი) - 150,000 ათასი ლარი;

თეთრაწყაროში საუბნო გზების რეაბილიტაცია (II ეტაპი)-270,639 ათასი ლარი;

ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)-150,000 ათასი ლარი;

ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესხების უბანი) -150,000 ათასი ლარი;

ფარცხნალში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ეკლესიის უბანი) -150,000 ათასი ლარი;

ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ინასარიძეების უბანი)-300,000 ათასი ლარი;

კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბერაძეებისა და ზვიადაძეების უბნები) - 255,004 ათასი ლარი;

ვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჩხაკოურის უბანი) - 200,000 ათასი ლარი;

უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესერიძეების უბანი) - 150,000 ათასი ლარი;

ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია -150,000 ათასი ლარი;

ვარძიის საუბნო გზის რეაბილიტაცია-368,187ათასი ლარი;

ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ცქიტიშვილების უბანი) - 75,000 ათასი ლარი;

ხევის საუბნო გზის რეაბილიტაცია -130,000 ათასი ლარი;

სარგვეშში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხვიჩა მუმლაძის უბანი) -100,000 ათასი ლარი;

საღანძილეში იჩქიტიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია -150,000 ათასი ლარი;

წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია -300,000 ათასი ლარი;

ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია -200,000 ათასი ლარი;

ვერტყვილაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (გოგიაშვილების უბანი) -100,000 ათასი ლარი;

ახალსოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მე-3 ეტაპი)- 300,000 ათასი ლარი;

ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია-250,000 ათასი ლარი;

ხარაგაულში დევდარიანის ქუჩის რეაბილიტაცია - 218,905 ათასი ლარი;

ღორეშაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (იჩქიტიძეების უბანი) – 250,022 ათასი ლარი;

მაქათუბნის, გზის რეაბილიტაცია (წიქარიშვილებისა და ტალახაძეების უბანი) -250,000 ათასი ლარი;

ქროლში საუბნო გზების რეაბილიტაცია-100,000 ათასი ლარი;

ჩრდილში გოგნაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია -150,000 ათასი ლარი;

მიროწმიდაში ეკლესიასთან მისასვლელი და საუბნო გზის რეაბილიტაცია -150,000 ათასი ლარი;

უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია-150,000 ათასი ლარი;

პატარა ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (დვლების უბანი) - 438,840 ათასი ლარი;

დეისის გზის რეაბილიტაცია (მე-2 უბანი) - 720,898 ათასი ლარი;

ისლარში საუბნო გზის რეაბილიტაცია-100,867 ათასი ლარი;

ვაშლევის გზის რეაბილიტაცია (გაღმა-გამოღმა ვაშლევი)-353,459 ათასი ლარი;

ლახუნდარაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (კავილაძეებისა და მელქაძეების უბნები)-1,138,495 ათასი ლარი;

თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხანდების გზა) -301,504 ათასი ლარი;

წაქვაში გზისა და ხიდის რეაბილიტაცია, პირველი ეტაპი - 320,678 ათასი ლარი;

მარელისში გზის რეაბილიტაცია (ქურდაძე- შავარაძირის უბანი)-265,282 ათასი ლარი;

გოლისში გზის რეაბილიტაცია -200,000 ათასი ლარი;

საქარიქედში, მუხების უბნისა და ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-253,557 ათასი ლარი;

ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-262,234 ათასი ლარი;

მაქათუბანში საუბნო გზების რეაბილიტაცია (კურტანიძეების უბანი)-79,720 ათასი ლარი;

ჩრდილში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ტალახაძეების უბანი)-481,513 ათასი ლარი;

წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (სადგურის უბანი)-100,000 ათასი ლარი;

წიფაში გზის რეაბილიტაცია - 537,660 ათასი ლარი;

ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი მე-3 ეტაპი) -230,668 ათასი ლარი;

ზედა ლაშე-საქარიქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-512,320 ათასი ლარი.

სხლითში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით დევდარიანი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, დავით კიკნაძესთან და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, სხლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს გაეცნო.

ამჟამად სხლითში გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს. პროექტი გარდამავალი იყო და მისი საერთო ღირებულება 639 275 ლარს შეადგენს. რაც შეეხება მიმდინარე წელს, აღნიშნულ მონაკვეთზე 271 420 ლარი დაიხარჯა და, ჯამში, გზის 3321 მეტრიანი მონაკვეთი მობეტონდა.

როგორც ჩვენთან საუბარში დავით დევდარიანი აღნიშნავს, სამუშაოები გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს და წლის ბოლომდე ვანი - სხლითის დამაკავშირებელი გზა სრულად რეაბილიტირებული იქნება. მისივე ინფორმაციით, 2022 წელს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კვლავ პრიორიტეტული იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე ამბობს, რომ სხლითში მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა არასდროს ყოფილა. ბ-ნ დავითი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია სოფლისათვის და მოხარულია, რომ მოსახლეობის დიდი თხოვნა შესრულდა.

ინფორმაციისათვის, სხლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. საერთო ჯამში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 10 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

ეკა შავიძე

მუნიციპალიტეტის სამ სოფელში წყლის ჭაბურღილი მოეწყობა

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში და, მათ შორის, ხარაგაულში პილოტურ პროექტს ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც სოფელ საქარიქედზე, იგორეთსა და ბაზალეთში, სასმელი წყლის პრობლემის მოგვარების მიზნით, წყლის ჭაბურღილები მოეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია ხარაგაულში, სათემო პროექტის განხორციელების მიზნით, 20 ათასი დოლარის ღირებულების გრანტს შემოიტანს.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე სოფლებში მთავარი პრობლემა წყლის სისტემის მოწესრიგებაა. კვლევა კი იმ სოფლებში ჩატარდა, რომლებიც საპილოტედ შეირჩა.

ხარაგაულის მერის მოადგილე დავით დევდარიანი ამბობს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სოფლებში წყლის სისტემის მოწესრიგების მიზნით, საკმაოდ ბევრი თანხა იხარჯება, თუმცა ზოგან ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია. დავით დევდარიანი მიესალმება, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით, მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში წყლის მიწოდების პრობლემა ახლო მომავალში აღმოიფხვრება.

ინფორმაციისათვის, პროექტი დაფინანსებულია მიგრაციის განვითარების ფონდისა (IDF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

ეკა შავიძე

ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ხარაგაულში

მოგეხსენებათ, რომ ბოლო ორი წელია, ცხოვრება უხილავ მტერთან, კორონავირუსთან, ერთად გვიწევს. ამ რთული ვითარებიდან კი ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ვირუსმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. არაერთი შეზღუდვისა და რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოში და, კერძოდ, ხარაგაულში ეპიდვითარება კვლავ საყურადღებოა. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში კორონავირუსის 3271 დადასტურებული შემთხვევა გვაქვს, მათგან გამოჯანმრთელებულია - 2720, ხოლო გარდაცვლილია 42 ადამიანი.

უფრო დეტალურად მუნიციპალიტეტში არსებულ ეპიდვითარების შესახებ, ჯანდაცვის ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ყიფშიძე გვესაუბრება:

-მიმდინარე წლის ივლისში ხარაგაულში ინფიცირების შემთხვევებმა საგრძნობლად მოიმატა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი- 953 შემთხვევა კი ნოემბრის თვეში დაფიქსირდა. პირველი დეკემბრიდან დღემდე გვყავს 219 ინფიცირებული, სტაციონარში მკურნალობას გადის 39. წინა წელთან შედარებით ბავშვებში ინფიცირების მაჩვენებელი მაღალია. თუ 2020 წელს 18 წლამდე გვყავდა 23 მოზარდი, დღეს ეს რიცხვი 472-ს აღწევს. მცირეა, მაგრამ გვაქვს 12 რეინფიცირების შემთხვევაც.

-ქალბატონო ნინო, რა სიხშირით ტარდება მოსახლეობის ტესტირება კორონავირუსზე?

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სწრაფი ანტიგენ ტესტი ტარდება ყოველდღე, კვირაში ორჯერ კი ხდება ნიმუშის აღება PSR ტესტირებისთვის. სწრაფი ტესტირება ტარდება ასევე ხარაგაულის კლინიკასა და ბორითის გადაუდებელ სამედიცინო ცენტრში. მომართვიანობა საკმაოდ მაღალია - დღეში სამივე დაწესებულებაში კეთდება 100-120 ტესტი.

-რა არის ის მთავარი რეკომენდაცია, რომელსაც ჯანდაცვის უწყება გასცემს?

-ჩვენი რეკომენდაცია და მოწოდება ისევ და ისევ არის პირბადის ტარება, რომლის სწორად გამოყენებას ყურადღება უნდა მივაქციოთ. აუცილებელია ასევე დისტანციის დაცვა და მორიდება ისეთ სიტუაციებში, სადაც ინფიცირების რისკი მაღალია. ყველას ვთხოვთ, ნებისმიერი რესპირაციული სიმპტომის გამოვლენისას დაუკავშირდით ექიმს და მოერიდეთ სახლიდან გასვლას, სანამ არ დააზუსტებთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

-გვესაუბრეთ კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, რამდენად აქტიურადაა ხარაგაულის მოსახლეობა ჩართული ამ პროცესებში?

-აუცილებლად უნდა ავიცრათ, რადგან აცრა ამცირებს დაავადების მძიმე მიმდინარეობისა და სიკვდილიანობის რისკს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საზოგადოების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ ვაქცინაცია უდიდესი მონაპოვარია ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. იმუნიზაციის წყალობით, ბევრი დაავადება ჩვენს დროში იშვიათია. აცრა ყველა ადამიანის ინდივიდუალური უფლებაა, თუმცა ასევე არის საყოველთაო პასუხისმგებლობა. აუცრელი ადამიანი საფრთხის ქვეშ აყენებს საკუთარ ჯანმრთელობას, ოჯახის წევრებსა და გარშემომყოფებს. როგორც დაავადება კოვიდ -19, ასევე მისი საწინააღმდეგო ვაქცინაც ახალია, ამიტომ ბევრი კითხვა აქვს საზოგადოებას, მაგრამ მსოფლიოს მეცნიერული კვლევები ცხადყოფს, რომ ვაქცინაციის სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატება შესაძლო რისკებს. ვაქცინამ, როგორც სხვა მედიკამენტმა, შესაძლოა, გამოიწვიოს გარკვეული გვერდითი მოვლენები, რაც დროებითია, ნორმალურია და მიანიშნებს, რომ თქვენი ორგანიზმი გამოიმუშავებს იმუნიტეტს.

ხარაგაულში აცრები ტარდება ორ დაწესებულებაში: რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრსა და ბორითის კლინიკაში. მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია ორი ვაქცინა სინოფარმი და სინოვაკი.

მომართვიანობა ამ მიმართულებით უფრო მეტად ნოემბრის თვეში გაიზარდა, დღეში ტარდება, დაახლოებით, 20-30 აცრა. ამ დროისათვის მუნიციპალიტეტში სრულად ვაქცინირებული 4000-მდე მოქალაქეა. შესაძლებელია ასევე მსურველთა აცრა ფაიზერის ვაქცინით. ხარაგაულში თვეში ერთხელ ქუთაისიდან მოდის სპეციალური ბრიგადა და მსურველებს შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.

და ბოლოს, ყველას გთხოვთ, ყურადღებით ვიყოთ. რა თქმა უნდა, შიში და პანიკა არაა საჭირო, მაგრამ სიფრთხილე და ყურადღება აუცილებელია. რეკომენდაციების დაცვა და ვაქცინაცია არის პანდემიასთან ბრძოლის ის საშუალებები, რაც თითოეული ჩვენგანის ხელთაა.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

თამარ მაღრაძე

გზა ხარაგაულიდან პირმინგემის სამეფო კონსერვატორიამდე



ხარაგაულელი მადონა შველიძე მუსიკის მიმართ პატარაობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა და არაერთგზის გვსმენია მისი წარმატების შესახებ. მადონა, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსში. მოპოვებული აქვს არაერთი ჯილდო, მათ შორის, მთავარი პრიზები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2017 წელს მადონა შველიძე ვოკალური კონკურსის-„იმერეთის ხმის“ გამარჯვებული გახდა.

სკოლა ოქროს მედალზე დაასრულა, თუმცა სხვა პროფესიაზე არც უფიქრია. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში ქალბატონ გულიკო კარიაულთან განაგრძო. ამის შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. მიმართულება - სოლო აკადემიური სიმღერა- კვლავ გულიკო კარიაულის კლასში. ამჟამად კი კონსერვატორიაში მაგისტრატურაზე სწავლობს 100%-იანი დაფინანსებით. ახალგაზრდა მუსიკოსი დაუღალავად მუშაობს პროფესიული განვითარებისათვის. სწორედ იმ შრომის შედეგია, რომ სულ რამდენიმე ხნის წინ, მადონა „ERASMUS+“ პროგრამის გამარჯვებული გახდა და სრულიად უფასოდ ისწავლის ინგლისში, ბირმინგემის სამეფო კონსერვატორიაში (Faculty of Arts, Design and Media-ხელოვნების, დიზაინისა და მედიის ფაკულტეტი).

„პირველი ნაბიჯები ჩემი პროფესიისკენ ხარაგაულში გადავდგი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ჩემი კლასიკური მუსიკისადმი დიდი ინტერესი, რაც ჩემი პირველი პედაგოგების: ნანა ლურსმანაშვილისა და ციური ბლუაშვილის დამსახურებაა. შემდგომ ძალიან გამიმართლა და ქალბატონ გულიკო კარიაულის კლასში აღმოვჩნდი, რომელიც მაქსიმუმს აკეთებს თავისი მოსწავლეების წინსვლა- განვითარებისათვის. განსაკუთრებულად მინდა, გამოვყო ჩემი კონცერტმეისტერი ხათუნა ლოლაძე, რომელიც ყოველთვის გვერდში მიდგას და დიდ სტიმულს მაძლევს,“- გვიყვება მადონა შველიძე.

რაც შეეხება „ERASMUS+“ პროგრამაში მონაწილეობას, ამბობს, რომ მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე, გამარჯვებას არ ელოდა და ამ წარმატებით ძალიან ბედნიერია.

„უცხოეთში სწავლა შესაძლებლობას მომცემს, კიდევ მეტად განვვითარდე პროფესიული კუთხით, შევიძინო ახალი მეგობრები, გავეცნო სხვა ქვეყნის კულტურასა და გავხდე კიდევ მეტად დამოუკიდებელი. სწავლა იანვარში მეწყება, რაც ექვს თვეს გაგრძელდება. მენიშნება სტიპენდია, რომლითაც საცხოვრებელ ხარჯებს დავფარავ.

მინდა, ყველას ვუსურვო ოცნებების ახდენა, მთავარია, ჩვენი მიზნებისათვის ვიბრძოლოთ და დაბრკოლებებს არ შევუშინდეთ“,- აღნიშნავს მუსიკოსი.

P.S. მადონა, გვიხარია შენი ყოველი წარმატება და სიამაყით ვივსებით. საქართველოს მასშტაბით, არაერთხელ გისახელებია ხარაგაული, ახლა კი გვჯერა, რომ ამ პატარა და მართლაც კულტურის სავანე მუნიციპალიტეტს საზღვრებს გარეთ გაუნევ პოპულარიზაციას. სამომავლოდ უამრავ წარმატებასა და კარიერულ წინსვლას გისურვებთ!

თამარ მაღრაძე

ბაბში მდინარე ჩხერიმელაზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაბში მდინარე ჩხერიმელაზე გადასასვლელ ხიდს რეაბილიტაცია ჩაუტარდება. სამუშაოების განხორციელების მიზნით, ხარაგაულის მერიამ ტენდერი გამოაცხადა. როგორც დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, გამარჯვებული კომპანია ვალდებულია, სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 63 კალენდარულ დღეში დაასრულოს. ტენდერი 40 278 ათას ლარზე გამოცხადდა. წინადადების მიღება 22 დეკემბერს დასრულდება.

ფოტოკონკურსის - „შემოდგომა, მე და იზოლაცია“ -გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ორგანიზებით გამართული ფოტოკონკურსი-„შემოდგომა, მე და იზოლაცია“-დასრულდა. შემაჯამებელი ღონისძიება მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ, გაიმართა, სადაც საუკეთესო ფოტოების გამოფენა მოეწყო.

აქვე გეტყვით, რომ ფოტოკონკურსი ერთი თვის წინ სკოლის მოსწავლეებისთვის გამოცხადდა და მასში მონაწილეობა სულ 15-მდე ბავშვმა მიიღო, რომელთა ნამუშევრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შეაფასა.

გამოვლინდა რვა ნომინაციაში გამარჯვებული, რომელთაც სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ. ნომინაციები ასე გადანაწილდა:

„საუკეთესო ნამუშევარი“- თამარ კიკნაძე (ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მე-12 კლასის მოსწავლე);

„მომავლის ხედვა“ - ვახტანგ მაღრაძე (ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე);

„საუკეთესო კადრი“- არმაზ შავიძე (ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე);

„საუკეთესო ფერთა ჰარმონია“ - გურამ ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე);

„კრეატიული ხედვა“- გვანცა ყრუაშვილი (ხარაგაულის მე-2 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე);

„შემოდგომის ჰარმონია“ -აღნიშნულ ნომინაციაში დასახელდა ორი გამარჯვებული - მარიამ ბერაძე (ხარაგაულის მე-2 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე) და ნოდარ ებანოიძე (ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე);

„საუკეთესო მობილური კადრი“ - ლიზი კიკნაძე (საღანძილის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე);

„ყველაზე პატარა მონაწილე“ - ლევან ბედიაშვილი (სოფელ ვარძიის საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე);

კონკურსში აქტიური მონაწილეობისთვის დაჯილდოვდნენ:

ერეკლე ყრუაშვილი (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია);

ანა კიკნაძე (საღანძილის საჯარო სკოლა);

ბექა ჩხიკვაძე (დაბის N3 საჯარო სკოლა);

ნიკოლოზ მეიფარიანი (დაბის N3 საჯარო სკოლა);

საბა მესხი (დაბის N2 საჯარო სკოლა).

ჟიურის წევრებმა და მუზეუმის თანამშრომლებმა ბავშვებს მადლობა გადაუხადეს საინტერესო ფოტოების შექმნისა და კონკურსში ჩართვისათვის. შეხვედრაზე ერთხმად აღინიშნა, რომ ბავშვების ხედვაში მათივე სულიერება და დიდი ნიჭიერება იგრძნობა.

მარიამ შარიძაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12